პერფორმანსი

მოამზადა რუსუდან თაყაიშვილმა

თემა	**პერფორმანსი (წარმოდგენა)**
მიზანი	შესრულების განსხვავებული ვერსიების შეთავაზება, შემოქმედებითობის განვითარება
საფეხური	დაწყებითი/საბაზო
ანოტაცია	მოსწავლეები კადრების მიხედვით ივარაუდებენ, რა არის წარმოდგენილი ეკრანზე. იმსჯელებენ საგუნდო შესრულების ალტერნატიულ გზებზე. მოისმენენ სხვა ნაწარმოებებისა და კოლექტივების შესრულებას და იმსჯელებენ ამ გუნდის შემსრულებლობის თემაზე.

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს გაჩერებულ საწყის კადრს და დაფაზე წერს მათ ვარაუდებს, რა შეიძლება იყოს გამოსახული ეკრანზე. ჩართავს 10-12 წამით, რის შემდეგაც ვერსიები მცირდება და სახელდება მთავარი - საგუნდო კოლექტივის შესრულება.

შემდეგ მოსწავლეები თავიდან ბოლომდე ნახულობენ ჩანაწერს და არკვევენ, რომ ნაწარმოები გოგონათა დიდი საბავშვო საგუნდო კოლექტივის მიერ შესრულდა. მოსაზრებას გამოთქვამენ შესრულების სირთულეებსა და თავისებურებებზე. აქვე მასწავლებელი უხსნის, რომ მონაწილეები იყენებდნენ ფერად ფარნებს, რაც მეტ ეფექტს ქმნიდა კონცერტის მსვლელობისას.

მოსწავლეები თავად, მასწავლებლის დახმარებით, აზუსტებენ, რომელი კოლექტივია, ვინაა ხელმძღვანელი, რომელ დარბაზში მიმდინარეობს კონცერტი:

- გორის ს. ცინცაძის სამუსიკო სასწავლებლის უფროსკლასელთა გუნდი
- ნინო წიკლაური
- ჯ. კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის დარბაზი
- Jake Runestad - Nyon Nyon

ნახულობენ და ისმენენ ვაჟთა გუნდის - „მძლევარის“ მიერ შესრულებულ სამხრეთ-აფრიკული სიმღერების პოპურს კახა ონაშვილის ხელმძღვანელობით

- #აკუსტიკა ვაჟთა გუნდი „მძლევარი“ - სამხრეთ აფრიკული სიმღერების პოპური https://www.facebook.com/watch/?v=989574935296537

ნახულობენ სხვა ვიდეომასალას მასწავლებლის შერჩევით:

- თბილისის ე. მიქელაძის სახ. ცენტრალური სამუსიკო სასწ. საგუნდო-სადირიჟორო განყ. I-II-III კლასელთა გუნდი (youtube.com) მ. მუხაშავრიას ხელმძღვანელობით https://www.youtube.com/watch?v=Esw4v_LU65I

განიხილავენ ნაწარმოებების შესრულების მახასიათებლებს. გამოთქვამენ აზრს, მოეწონათ თუ არა.

მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ეს ვიდეომასალა:

- https://www.youtube.com/watch?v=DgECqn4RB3g
- https://www.bing.com/search?q=Pitch%20Perfect%20Medley%20(arr.%20Naomi%20Crellin)%20(youtube.com)&cvid=606adcd3db37492ab642a88cf8f0a711&gs_lcrp=EgZjaHJvbWUyBggAEEUYOTIHCAEQRRj8VdIBCDE0MTlqMGo0qAIAsAIA&FORM=ANAB01&PC=U531&adlt=strict
- https://www.bing.com/videos/riverview/relatedvideo?&q=german+boy+Choir&adlt=strict&mid=35DB26C049337CBACD1B35DB26C049337CBACD1B&&FORM=VRDGAR